ეროვნული ბიბლიოთეკა


# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | მაუგზავნელად: მან. |
|---|---|---|
| რთის წლისა | — 7 მან. | — 6 |
| ახევრის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| ამ.ს თვისა | — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

## პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.**

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 23. სამშაბათი. I. 6 აგვისტოს 1868 წ.


**შინაარსი:** რუსეთის ცხოველთ მფარველობის საზოგადოების წესები.—გლეხების გადასახლებაზე.—სალმრთო-ისტორია. —საოჯახო ცნობა: კირით მიწის პატიობის სარგებლობაზე. —მოგზაურთ სადგური უდაბნოში. —რუსეთის ამბავი: ოდესის ქალაქის საზოგადოების მოქმედება ხალხის გასანათლებლად.— არითმეტიკა.

# განცხადება

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ სოფლის სასამართლოებს, რომელთაც ფული არ შებოუტანიათ ამ წლის „სასოფლო გაზეთის“ ფასი, მალე წარადგინონ უეზდის ნაჩალნიკთან, რომ იმან, სადაც რიგია, იქ გამოგზავნოს. წლის ფასი ხომ ყველამ იცის, ე ქ ვ ს ი მანეთია.

## რუსეთის ცხოველთ მფარველობის საზოგადოების წესები.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ნ ი შ ი ნ ა-ს ა ქ მ ე თ ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს ა გ ა ნ.

1. ალიკრძალების იმისთანა საქონლის ხმარება, რომელთაც ავადმყოფობა ეტყობათ, რამე ასო აქვსთ წამხდარი, იარაები აქვსთ, ან კოჭლობენ.

2. ნება არა აქვს არავის სცემოს საქონელს ხმელი ან მწვეტი რამით (კეტით, ჯოხით და სხვ.), ხოლო თავში და მუცელში ცემა სრულებით ალიკრძალება.

3. ალიკრძალების ურმის ან პაოსკის ძალიან დაბარგება, რომელიც აშკარად ეტყობა, რომ არ შეჰფერის საქონლის ღონესა და გზის მდგომარეობას (სიცუდეს და სხვ.).

4. არავის არ მიეცემა იმისი ნება, რომ ურმით ან პაოსკით, გინდ ცარიელი იყოს, გინდ დაბარგებული, ქალაქის ქუჩებზე ჭენებით იაროს, უმეტესად თუ მძიმეთაც არის დაბარგებული.

5. ალიკრძალების ცხენის გამობმა დაბარგებულ ურემსა ან პაოსკას უკან იმ შემთხვევაში, თუ ურემში ან პაოსკაში შებმული საქონელი ძლივსა ჰზიდავს თავის ბარგსა.

6. ნება არა აქვს არავის, რომ ხბორები ან სხვა წვრილი რამე საქონელი წვალებით მიჰყვანდეს სადმე, ესე იგი ურემზე ან პავოსკაზე და ცხენებზედაც ისე არ უნდა დააკრან წვრილი საქონელი, რომ ერთმანეთზე მიტყუპებულნი იყვნენ, აგრეთვე თავი დაკიდული არ უნდა ჰქონდეთ და სიარულის დროს თავს არ უნდა ახლიდნენ რასმე; ამასთან მეურმეს ან მეპავოსკეს არა აქვს ნება ურემზე, ან პავოსკაზე დაწყობილ ხბორებს, ან სხვა საქონელს ზედ დააჯდეს.

7. შებმული ცხენი ან სხვა საქონელი რომ წაიქცეს ალიკრძალების მათრახით, ან სახრით იმისი აყენება; მაშინ უნდა ეცადნენ, რომ ხელითააყენონ, და თუ ხელით ვერ ააყენეს— უთუოდ უნდა გამოუშვან და ისე ააყენონ.

8. საზოგადოდ ალიკრძალების ყველა გვარი წვალება ცხოველთა, რომელიც უნდა იყოს, ან იმათი სასტიკად მოპყრობა.

ყველა პოლიციის მსახურთ ევალად ადევსთ ბეჯითი ყურადღება იქონიონ ამ ზემო აღნიშნული წესების აღსრულებაზე და სრული შემწეობა აღმოუჩინონ ცხოველთ მფარველობის წევრთა ამ წესების დამრღვევთ წინააღმდეგ.

ვ ი ნ ც ა მ წ ე ს ე ბ ს დ ა ა რ ღ ვ ე ვ ს, ი ს უ ნ დ ა შ ე ი პ ყ რ ა ნ დ ა წ ა რ ა დ გ ი ნ ო ნ პ ო ლ ი ც ი ა შ ი, ს ა დ ა ც მ ო ე პ ყ რ ო ბ ი ა ნ ი მ ა ს დ ა ს ჯ ა ზ ე წ ე ს დ ე ბ ა თ 29 მ უ ხ ლ ი ს ძ ა ლ ი თ, რ ო მ ე ლ ს ა ც გ ა ნ უ ჩ ი ნ ე ბ ე ნ მ ო მ რ ი გ ე ბ ე ლ ნ ი მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე ნ ი.

## ჩვენი გლეხების გადასახლება.

ჩვენი გლეხების გადასახლების ამბავი შევიტყეთ, რომ ზოგიერთ ადგილებიდგან სხვაგანა სახლდებიან. რაჭიდგან ორმოცი კომლი აპირობს ქართლში გადმოსვლასა და იმისთვის კაცები გამოუგზავნია, რომ ადგილის თაობაზე მორიგდნენ. ამას გარდა ქართლიდგან რამდენსამე კომლს ყარაიასის მინდორში უნდათ დაბინავებაო და ამისთვისაც კაცები გაუგზავნიათ ადგილის გასაშინჯავათა.

გლეხი კაცის გადასახლება სახლკარით და ცოლშვილით, ერთი სიტყვით სხვაგან ბინის მოკიდება ისეთი ძნელი რამ არის, რომ კარგი სიფრთხილე და კარგათ გაშინჯვა უნდა საქმესა. გლეხმა კაცმა უნდა შეიტყოს თუ ახალი ბინის ადგილი რა ადგილია, რა მიწაა, რა სიცხე და სიცივე იცის, რა ავათმყოფობა იცის იმ ადგილმა, რა წვიმები და ნიაღვრები

იცის, რა მომცემი მიწა არის, რომელი მოსავალი უფრო კარგათ მოდის, წყალი აქვს თუ არა, რა გზები აქვს, რა ტყეები აქვს, რა საბალახე და საძოვარი აქვს, ქალაქებთან ახლოა თუ შორსა, გარეშემო ხალხი ახვევია და რა ხალხი ახვევია. ამასთან ისიც უნდა იცოდეს, თუ სახლებს იმ ადგილს როგორ აშენებენ, და რა ნაირი ადათითა ცხოვრობენ იქაური გლეხკაცები. სხვა კიდევ ბევრი რამ არის ჩამოსათვლელი, ყველას წვრილათ ვერ მოვიფიქრებთ და ეს თითონ გლეხმა უნდა მოიაზროს, რადგანაც თითონ უფრო კარგათ გაშინჯავს.

ჩვენ აქ უფრო ისეთი რამ უნდა ვილაპარაკოთ, რაც პირველი და საჭირო რამ არის.

პირველი რამ არის მამულის შოვნა, თუ რა ადგილს იპოება ცარიელი ადგილი. მამულები არის ან სახელმწიფო, ან საეკლესიო ან საბატონო. რასაკვირველია ამ მამულებში, საცა გლეხკაცს ხელს მისცემს, იმ ადგილს აიღებს, ამას თქმა აღარ უნდა. ჩვენ გვსურს რომ შევიტყოთ, სად რა სახელმწიფო ან საეკლესიო მამულია, რომ ჩვენი გლეხისთვის შეგვეტყობინებინა, მაგრამ ამ ჟამათ ამ ჩვენ სურვილს ვერ ავასრულებთ. თუ ღონისძიება მოგვეცა ვეცდებით შევიტყოთ და შევატყობინოთ ჩვენ სოფლის გლეხებს სად რა ადგილია ცარიელი სახელმწიფო და საეკლესიო და რა პირობით აძლევენ. აგრეთვე კარგი იქნებოდა, რომ მებატონეებსაც გამოეგზავნათ განცხადება, ვის რა ადგილი აქვს მისაცემი, რა ადგილას და რა პირობით აქირავებენ. ამ გაზეთის გამომცემელისაგან სიტყვა გვაქვს, რომ ამისთანა განცხადებას უფულოთ დაბეჭდავს ამ გაზეთში. ეს მებატონისათვისაც კარგი იქნებოდა და გლეხისთვისაც.

ჩვენ შევიტყეთ, რო ქართლში ერთს ორ ადგილას მებატონეებს მამულები მიუციათ გლეხებისათვის იმ პირობითა, რომ ნახევარ მამულზე ბაღი მოაშენონ და ნახევარი თითონ გლეხებმა იხმარონ და როცა მოაშენებენ, ის ბაღი მებატონეს უნდა დაუბრუნონ და მეორე ნახევარი მამული სამუდამოთ საკუთრებათ დარჩეთ გლეხებსა. ამ გვარათ მამულის აღება და მიცემა მებატონებისთვისაც კარგია და გლეხისათვისაცა. გლეხისთვის იმით არის კარგი, რომ რახან ფული არა აქვს, ნახევარ მამულის მოშენებით მეორე ნახევარსა ყიდულობს. ბატონისთვისაც აგრეთვე კარგია რომ მამული მეტი აქვს და ფულიც უჭირს და ნახევარ მოუშენებელ მამულის სამაგიეროთ მოშენებულ მამულსა შოულობს გლეხის შემწეობით; იჯარით ან დროებით რომ აქირაოს მამული, ღალაზე, ან კულუხზე, ამითი მამულიც არ გაკეთდება, თან და თან უფრო და უფრო წახდება, ისე მომცემი აღარ შეიქმნება, როგორც პირველათ იყო, ამიტომ რომ მამული მაშინა კეთდება, როცა ნამდვილის პატრონის ხელშია. ამისთვის კიდეც ვინც ამგვარათ მამულს სანახევროთ იძლევა, ძალიან ჭკვიანურათ ირჯება. მეზობლობაც კარგი გაიმართება, და სოფლის ხალხისთვის კარგი მეზობლობა კარგი საქმეა.

ამბობენ კიდევ ზოგნი მამულებს ისე აძლევენო, რომ მოსავალი შუაზე გაიყონო: ნახევარი გლეხს, ნახევარი მამულის მებატონეს. ეს ძალიან ძნელი საქმეა და არა მგონია, რომ გლეხმა კაცმა ამ მძიმე პირობით მამული აიღოს; ეს თითონაც კარგა იცის და ამაზე რაღა ლაპარაკი უნდა.

ბინის გამოცვლის დროსა და სხვა ადგილზე გადასახლების დროს ერთი ძნელი რამ კიდევ ადგილის სიცხე და სიცივეა. ცხელ ადგილიდგან ცივ ადგილს, ან ნამიან ადგილს და აგრეთვე გრილი ადგილიდგან ცხელს ადგილს გადასახლება ძალიან ავნებს კაცსა, რადგანაც ჰაერს არ არის შეჩვეული და ავათმყოფობა მოსდევს; მასუკან სახლის მდგომარობა, ხვნა თესვა სულ სხვა გვარათ უნდა მოახერხოს და მანამ ამაებს გაარიგებს — კაციც თან გადაჰყვება. აი ეხლა გლეხები ქართლიდგან ყარაიაზის მინდორზე აპირებენ გადასვლასაო. ქართლი უფრო გრილი ადგილია ყარაიაზის მინდორზე და იმათთვის არ გამოდგება. ყარაიაზის მინდორმა საშინელი სიცხეები იცის. თუმცა ერთ მხარეს ტყე აქვს და აგერ სამი წელიწადია შუა მინდორში წყალი მოუდის, მაგრამ ისეთი სიცხეებიაო, რომ აპრილის თვეში, იქ თათრები ჰდგანან და ისინიც კი იყრებიან, და ენკენისთვემდინ იქ ადამიანის ჭაჭანება არ არისო. სიცხეს გარდა საძაგელი გველი, მორიელი და სხვა შხამიანი ჭიაჭუა მრავალიაო. იქ თუ კიდევ გასძლებენ თათრები, რადგანაც სიცხეს არიან შეჩვეულები, თორემ ჩვენი გლეხები ვერ აიტანენ იმ სიცხესა. ამ ორმოცისა, თუ ორმოცდა ათი წლის წინათ იქ რუსები დაუსახლებიათ და ეხლა იმათი კვალიც აღარ დარჩენილა. — ამიტომ კიდეც კარგათ ჩადიან ჩვენი სოფლელები რომ მამულების გასაშინჯათ კაცებსა გზავნიან, აი როგორც ეხლა ქართლიდგან ყარადაზში გაუგზავნიათ და რაჭველებს ქართლში. ეს კი საჭიროა, რომ კარგათ გაშინჯონ ადგილები და ამას გარდა არ შესცდნენ, რომ იქნება ერთ ერთ წელიწადს, ან რო გრილოდეს ან ცხელოდეს ამით არ მოტყუვდნენ და ეცადონ კარგა შეიტყონ, ყოველ წელს უფრო როგორი სიცივეა ან სიცხე.

ერთი სიტყვით კაცების გაგზავნა მამულის გასაშინჯავათ ძალიან საჭირო რამ არის და ძალიანაც სიფრთხილე უნდა, რომ უფრო გამოცდილი, ჭკვიანი და მარჯვე კაცები გაგზავნონ ახალი ბინის გასაშინჯავათ.

გადასახლებისათვის დიდათ საჭიროა, რომ ახლო მახლო სოფლის გლეხკაცები ერთათ შეერთდნენ და ერთათ დაიჭირონ საქმე. ერთათ ჭირი, ერთათ ლხინიაო, ნათქამია. ხარჯი ერთათ რო ექნებათ, უფრო ნაკლები იქნება, ერთმანერთს მოეხმარებიან ერთმანერთს შეაძლებინებენ. ცალცალკე გადასახლება ჭირათაც დაუჯდებათ და ძნელიც არის მარტოობა. ამასთან მამულიც ერთათ რომ აიღონ და მასუკან ერთმანერთში გაიყონ, ესეც ამითი იქნება კარგი, რომ ხარჯის მიცემაში, ღალის მიცემაში, უფრო ნაკლებათ მორიგდებიან მამულის პატრონთან. ამიტომ რომ მამულს ერთიანათ რომ აიღებენ, მებატონისთვისაც კარგია; რამდენიც გლეხი მეტი იქნება, უფრო მეტი ნდობა აქვს, ვიდრე ერთსა და ორ კაცსა. ჩვენ ამაებზე კიდევაც მოვილაპარაკებთ.

აქ ჩვენ იმაზე არ მოვილაპარაკეთ, რომ რასაკვირველია კანონის ასრულება საჭირო, რაც კი გლეხის გადასახლებას შეეხება.

---

## სამღრთო ისტორია.

### 5. ბაბილონის გოდოლი (ცოშკი).

წარღვნას შემდეგ ნოემ იცოცხლა კიდევ სამ ას ორმოცდა ათი წელიწადი, და როდესაც მიიცვალა იყო ცხრა ას ორმოცდა ათის წლისა. ნოეს შემდეგ ასე დიდხანს აღარავის უცოცხლია. იმისმა შვილმა, სემმა, იცოცხლა ექვსასი წელიწადი; იმისმა შვილის შვილმა, არფაქსადმა, მიაღწია მხოლოდ ოთხას სამოცდა ხუთ წლამდის. არფაქსადის შვილმა, კაინანმა, იცოცხლა ოთხას სამოცი წელიწადი.

ამას შემდეგ ნოეს შვილის შვილმა, ებერმა, მიაღწია კიდევ ხანგრძლივ სიცოცხლემდის, ამან იცოცხლა ხუთას ოთხი წელიწადი. ამას შემდეგ კი კაცის ძალა უფრო და უფრო უძლურდებოდა და შემდეგში სულ აღარავის მიუღწევია ოთხას წლამდე. ნაქორმა, აბრაამის პაპამ, იცოცხლა მხოლოდ ორას რვა წელიწადი; თარამ კი, აბრაამის მამამ, იცოცხლა ორას ორმოცდა ხუთი წელიწადი. რაც უნდა იყოს, მაინც დიდხანს უცოცხლიათ მაშინ, და ამ ხანგრძლივი სიცოცხლის გამო ხალხი ძალიან მრავლდებოდა ქვეყანაზედ. მაშინ გაჩნდნენ ძალოვანებიც, რომელთაც დაიმონავეს სხვები თავის ფერხთა ქვეშე. ერთი ამ ძალოვანთაგანი იყო ნემბროთი, ხამის შვილის შვილი, ნოეს შვილის შვილის შვილი, რომელმაც დააფუძნა თავის მფლობელობა (მეფობა) ბაბილონში.

იმ დროს ყველანი ერთ ენაზედ ლაპარაკობდნენ და ერთმანერთისაგან განშორება ეძნელებოდათ; ამის გამო ყველანი ერთალაგას იყვნენ შემჭიდროებულნი (შეჯგუფებულნი). ღმერთს კი ენება, რომ კაცის ნათესავი გაფანტულიყო მთელ დედამიწის ზურგზე. თავიანთ წადილის ასასრულებლად, რომ არ განშორებიყვნენ ერთმანერთს, ხალხმა იფიქრა სენნაარის ველზედ, მდინარე ეფრატის ნაპირას, ერთი უშველებელი კოშკის (გოდოლის) აშენება, რომლის წვერიც ცამდის უნდა მისწვდომოდა. ამისთანა უზარმაზარი კოშკის აშენებით იმათ თავიანთ სახელის გათქმაც უნდოდათ; ამის გამო უფრო გულმოდგინებით აშენებდნენ ამ კოშკს. მაგრამ ღმერთმა აურია იმათ ენა და ამ გვარად ჩაუშალა იმათ ეს უგუნური მათი წადილი. რადგან მათ დაიწყეს მაშინ სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკი, ამის გამო ერთმანერთისა აღარა ეყურებოდათ რა და იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ თავიანთ შენობისთვის. ამ სახით ღმერთმა განფანტა ხალხი იმ ალაგიდგან მთელ დედამიწის ზურგზე.

### 6. იობის ამბავი.

დაბადებაში არის იობის წიგნი, რომელშიაც აწერილია ამ მრავალ-წამებულის კაცის ამბავი. იობი სცხოვრებდა არაბეთში აბრაამის დროს. ის იყო ყველგან ცნობილი როგორც თავის სიმდიდრით, აგრეთვე თავის მოწყალეებითაც. კეთილ-მსახურებისთვის ღმერთმა აკურთხა იობი, და სხვა ჯილდოებს გარდა მიანიჭა იმას სახლობითი ბედნიერებაც. იობს ჰყვანდა შვიდი ვაჟი-შვილი და სამი ქალი-შვილი; ყველანი სცხოვრობდნენ ძმურის სიყვარულით და თანხმობით. მაგრამ იობის ბედნიერებამ და კეთილ-მსახურებამ აღგზნო შური კაცთა ნათესავის მტერში. ერთხელ მივიდა უფლის წინაშე ეშმაკი და იობს დაბეზღება დაუწყო, ამბობდა, ვითომც იობი იმიტომ არის უფლის ერთგული მსახური, რომ იმისგან მრავალი ბედნიერება ჰქონდა მინიჭებული. „აბა სცადე, ეუბნებოდა ღმერთს კაცის მტერი ეშმაკი,—და მცირედი ერთი შეეხე საცხოვრებელსა მისსა და მაშინ ჰნახავ, რომ მოქმედებული მისი (ქცევა მისი) გულით არა არს, არამედ ფარისევლობით.“ უფალსა ჰსურდა აღემაღლა კეთილმსახური იობი და ამის გამო მისცა ეშმაკს იმ ბოროტების მოხდენის ნება. ერთ დღეს, როდესაც ყველა იობის შვილები ლხინობდნენ თავიანთ უფროს ძმასთან და თითონ იობი კი შინ იყო მარტოკა, მოულოდნელად ზედიზედ მოირბინეს იმასთან რამდენიმე მთხრობლებმა და პირველმა მათგანმა უამბო, რომ ავაზაკები დაეცნენ შენს ვირებისა და ხარების ფარებს, მწყემსები დახოცეს და საქონელი კი სულ გაირეკესო; მეორე მთხრობლემა უამბო, რომ ზეციდამ შენს ცხვრებზე ცეცხლი ჩამოვარდა და სულ ერთიანად გადაწვა მწყემსებიანათო, მესამემ უამბო, რომ ქალდეველთ სულ წაასხეს შენი აქლემები, მწყემსები კი დახოცესო; ბოლოს მეოთხემ მოირბინა და გაუმჟღავნა, რომ გრიგალმა-ქარმა დააქცია სახლი, რომელშიაც ლხინობდნენ შენი შვილებიო და სულ ყველანი ქვეშ დაიტანაო. ყველა ეს საშინელი ამბები რომ მოისმინა იობმა, დაეცა დედამიწაზედ და სთქვა: „მე მუცლისაგან დედისა ჩემისა შიშველი გამოვედ და კვალად შიშვლად მივიქცევი... ესე ყოველი უფალმა მომცა, და აწ თავადვე უკან წამართვა. იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ.“

რომ ვერა გახდარა ეშმაკი ამ გვარი გამოცდით და ვერ შეასუსტა იობის სარწმუნოება ღვთისადმი, ბოროტი სული კვალად მივიდა უფალთან და უთხრა, რომ კაცისთვის ადვილი ასატანია ყველა დანაკარგი და ზარალიო, თუ კი თითონ სალად და კარგად იქნებაო. „აბა მცირე ერთი შეეხე ძვალსა და რბილსა მისსა,—ეუბნებოდა უფალს ბოროტი სული,—თუ ვითარ მოუთმენლად უკუსდგეს პირისაგან შენისა.“ უფალმა მიუშო ეშმაკი რომ იობის სიმტკიცე ამ სახითაც გამოეცადნა. იობი გახდა ავად და ტანი სრულებით დაუიარავდა; ამ ავადმყოფობაში ის საზიზღარი სანახავი იყო და ამასთან საზარელი სუნი ასდიოდა, ასე რომ იმის ახლოს ყოფნა შეუძლებელი ღა იყო; ამ მიზეზით ყველამ თავი დაანება იმას და თვით მეგობრებიც აღარ ეკარებოდნენ. ერთხელ მოვიდა იმასთან სამი მახლობელი იმისი მეგობარი, მაგრამ იმათაც ვერ გაუძლეს იმის უბედურებას და მალე წავიდნენ. ასე მარტოკა დარჩენილი იობი იჯდა და ნატეხრით ტანიდგან ჩირქს იწმენდდა. თვით ცოლმაც კი ვეღარ გაუძლო იმის ავადმყოფობას; ხშირად აყვედრიდა იმას, მაგრამ იობი უპასუხებდა ხოლმე: „თუ კი ბედნიერებას მივიღებთ ღვთისაგან, იმისგან მოყვენებული უბედურება რატომ აღარ უნდა მოვითმინოთო!“ ამ გვარად იობი ბოლომდის მტკიცე იყო და თავის გამოცდის დროს არაცა ერთი სიტყვით არ შესცოდა ღმერთს. ამის გამო უფალმა ხელმეორედ დააჯილდოვა იგი და ერთი ორად დაუბრუნა იმას ყველა იმის დანაკარგი; კარგა მყოფობაც აგრეთვე მიანიჭა. იმას მიეცა კიდევ შვიდი ვაჟი და სამი ქალი და იცოცხლა კიდევ ას ორმოცი წელიწადი ბედნიერებაში და კეთილმსახურებაში.

### 7. აბრაამის მოწოდება.

ნოეს სიკვდილს შემდეგ ცოტახანი რომ გავიდა, დაიბადა აბრაამი სემის მეათე თაობიდამ. იმ დროში მთელი კაცთა ნათესავი ბევრ ხალხად გაიყო და იმ ხალხებმა კერპთ თაყვანის-ცემა დაიწყეს. ამისთვის უფალმა უთხრა აბრაამს: „გამოვედ ქვეყნისა მაგის შენისაგან და ნათესავისა მაგის შენისაგან და სამამულო სახლისა შენისაგან და წადი იქ დაემკვიდრე, სადაც მე გიჩვენო შენ, რათამცა გაკურთხო შენ, გაგამრავლო, სახელოვანგყო ქვეყანასაზედა. მეცა ვაკურთხო მაკურთხებელი შენი და წყეულ—ვყო დამაწყევარი შენი და შენით იკურთხონ კაცნი ყოველისა ქვეყნისანი.“—აბრაამი დაემორჩილა ღვთის ბრძანებას და გამოვიდა თავის ქვეყნიდგან. აბრაამი მაშინ სამოცდა თხუთმეტის წლისა იყო; იმას გამოჰყვა თან თავის ძმის წული ლოთიც.

როდესაც ისინი მოვიდნენ ქანაანის ქვეყანაში, აბრაამისა და ლოთის მწყემსებს უკმაყოფილება მოუხდათ ერთმანერთში, რადგან

ერთსაც და მეორესაც აუარებელი საქონელი ჰყვანდა და ამ მიზეზით ერთ ალაგას ვერა თავსდებოდნენ. მაშინ აბრაამმა უთხრა ლოთს: „ნუ გვექმნება ჩვენ ერთმანერთში უკმაყოფილება და ნურც ჩვენი მწყემსები იქნებიან ერთმანერთის უმადურნი, რადგან ჩვენ ძმები ვართ. ამოდენა დედამიწა განა ვერ მოგვითავსებს? გავიყარნეთ. თუ გინდა—შენ წადი მარჯვნივ, მე მაშინ მარცხნივ წავალ; და თუ შენ მარცხენა მხარეს ამოირჩევ, მაშინ მე მარჯვენა მხარეს დავადგები“.—მაშინ ლოთმა აირჩია მშვენიერი ველი, რომელზედაც მდებარებდნენ სოდომი და გომორი; აბრაამი კი ქანაანის ქვეყანაში დარჩა საცხოვრებლად.

8. აბრაამის სარწმუნოება.

ერთ ღამეს აბრაამს მოევლინა ღმერთი და მოესმა მისი ხმა, რომელი ეუბნებოდა: „ნუ გეშინინ, აბრამ; მე ვარ შენი შემწე, რომელი მოგანიჭებ დიდ ჯილდოს“. აბრაამმა უპასუხა: „უფალო და მეუფეო! რაღა უნდა მომანიჭო კიდევ, თუ კი უშვილო ვარ და ჩემ მემკვიდრედ უნდა იყოს მონა ჩემი!“ უფალმა მაშინ დაარწმუნა იგი, რომ არ დარჩებოდა უმემკვიდროდ და შემდეგ გამოუძახა რა გარეთ, უთხრა: „აბა შეხედე ზეცას და დათვალე ვარსკვლავნი! შეგიძლიან დასთვალო? ეგრეცა ძენი შენნი ურიცხვოდ ყოფად არიან.“ მაშინ აბრაამი ერწმუნა ღმერთს და ღმერთმაც აკურთხა იგი. მაგრამ დიდმა დრომ გაიარა და აბრაამს მაინც არ უსრულდებოდა ღვთის აღთქმა. აბრაამი იყო ოთხმოცდა ცხრამეტი წლისა, სარა ოთხაოცდა ცხრასი,—შვილი კი ჯერ არა ჰყვანდათ. მაშინ კვალად გამოეცხადა აბრაამს უფალი და უთხრა: „მე ვარ ღმერთი შენი; იყავ კეთილ-მსახური ჩემი და უბიწო. მე დავდებ შენთანა აღთქმას და დიდს ხალხს ვაწარმოებ შენგან; ამისთვის ნულარ იქნება სახელი შენი აბრამ: ამიერიდგან გეწოდოს შენ აბრაამ, რადგან მე დაგნიშნე შენ მამად მრავალთა ხალხთა.“ და ნიშნად თავის აღთქმისა ღმერთმა წინა-დაცვეთა დააწესა.

ამას შემდეგ კიდევ გამოეცხადა უფალი მამბრის მუხასთან. ერთხელ შუადღის დროს აბრაამი იჯდა თავის კარვის კარებთან და ამ დროს პატარა მანძილზედ სამი თავისკენ მომავალი კაცი დაინახა. აბრაამი საჩქაროზედ ადგა და წავიდა იმათ მისაგებებლად; დაბლა დაუკრა თავი და მოახსენა: „უფალო! თუ მე მომიპოვებია მადლი შენი, ნუ უგულებელ ჰყოფ მონასა შენსა. ნება მომეცით მოგართვათ წყალი და დაგბანოთ ფერხნი თქვენნი და შემდეგ განისვენეთ აჩრდილსა ქვეშე ხისა ამის.“ ეს რომ უთხრა, შევიდა კარავში და უთხრა სარრას, რომ ხმიადები გამოეცხო; თითონ კი თავის ძროხაში გაიქცა, გამოარჩია ერთი ჩჩვილი ხბო და უბძანა ჩქარა მოემზადებინათ; მოიტანა თან რძე, ქარაქი, და მიიწვია სტუმრები, იმათაც ჭამეს. მაშინ უფალმა უთხრა აბრაამს: „მომავალ წელში მე ამავე დროს მოვალ შენთან და მაშინ სარრამ გიშვას შენ ძე.“—ეს რომ გაიგონა სარრამ, რომელიც კარვის კარებთან იდგა, გაეცინა. მაშინ უფალმა სთქვა: „რისთვის იცინის სარრა? განა არის რამე ღვთისათვის შეუძლებელი!“ სარრას არ უნდოდა გამოტეხილიყო და თავს იმართლებდა: „არ გამიცინიაო“. მაგრამ უფალმა უთხრა იმას: „არა, შენ იცინოდიო!“ და ამ სახით სარრა შერცხვენილი იყო თავის ურწმუნოებისათვის.

ამას შემდეგ სტუმრები ადგნენ და სოდომისკენ წავიდნენ; აბრაამმა გააცილა ისინი. რომ მიდიოდნენ, უფალმა სთქვა: „არ დაუმალავ აბრაამს, რაცა მწადიან ვქმნა, რადგან ვუწყი, რომ ეს თავის შვილებს და მთელს თავის სახლს ამცნებს, რათა დაიცვან ღვთისმსახურება, სიმართლე და ჭეშმარიტება. აუსრულოსცა უფალმა აბრაამს ყოველი დაპირებული თვისი“. მაშინ უფალმა გამოუცხადა აბრაამს, რომ იმას სწადდა სოდომის დასჯა ცოდვებისათვის. ეს რომ მოისმინა აბრაამმა, სთხოვა უფალს იმიხი შეწყალება. „ნუ თუ ორმოცდა ათი მართალი მაინც არ მოიპოვება იმათში. შენ, უფალო, არ აღასრულებ ამას, და მართალთა არ დასჯი ცოდვილთა შორის.“ ამაზედ უფალმა უთხრა: „მე რომ მეპოვნა იმათში ორმოცდა ათი მართალი, მაშინ მე იმათი გულისთვის შევუნდობდი მრელი ქვეყნის შეცოდებას“. აბრაამმა კვალად ჰკითხა: „ორმოცდა ხუთი რომ იყოს, ნუ თუ მაშინ კი დაჰლუპავ მთელ ქალაქს?“ და მიიღო რა უფლისაგან მოწყალე პასუხი—განაგრძელა: „იქნება ორმოცი მაინც იპოვებოდეს?“— „ოცდა ათი რომ იყოს?“—„ოცი მაინც იქნება?“—„ათი ხომ იქნება?“—უფალმა კი უთხრა: „ათის გულისთვისაც შევუნდობ იმათ!“

ამას შემდეგ უფალი განშორდა აბრაამს, და ეს კი თავის ალაგს დაბრუნდა.

---

## სოფლის ცნობები.

### კირით მიწის პატიობის სარგებლობაზე.

ყველა მცენარე ნიადაგიდგან თავის საზრდოდ სხვათა შორის კირსაც მოითხოვს, რადგან კირიც ისე საჭიროა იმის სხეულისთვის და ნაყოფისთვის, როგორც შავი მიწა, ქვიშა, სასუქის მსუქანი ნაწილები და სხვა. ყველა მცენარეებში იმყოფება კირის ნაწილები, რომელთაც ის იღებს მიწიდამ თავის ზრდის დროს. სხვა და სხვა გვარი მცენარე ერთ ზოგად არა ხმარობს კირს: ზოგს მცენარეს ბევრი უნდება კირი, ზოგს კი ცოტა. ერთ ნემეცის მსწავლულ მეურნეს გამოუკვლევია, გამოუანგარიშებია და გაუგია, რომ ერთ დღიურზედ, საშუალო მოსავალის დროს, იღებს მიწიდგან ქერი (საზრდოდ) თოთხმეტ გირვანქა კირს, შავი, რუსული პურის ხორბალი—ცხრამეტ გირვანქას, ცერცვი— სოც გირვანქას, ჭარხალი—ას ორმოცდა ათ გირვანქას, წითელი იონჯა—ას სამოცდა ათს გირვანქა კირს. მაგრამ რადგან კაცის სახმარებლად მარტო მარცვალი და ნაყოფი მიდის, ხოლო ნამჯასა და ფოთლებს კი საქონელი სჭამს, ამის გამო ნამჯაში ნამყოფი კირი საქონლის სასუქში გადადის. სადაც შემოღებულია მიწის გასუქება, იქ—მცენარისაგან შეწოვილი კირი, სულ კიარა და რამდენიმე სასუქთან ისევ უბრუნდება მიწას და, მაშასადამე, როგორც გამოანგარიშებით გაუგიათ, ათ წელიწადში ნიადაგიდგან ამოაქვს მცენარეს კირი მხოლოდ ცხრამეტიდგან—ოცდაოთხ გირვანქამდის(*). თუმცა ესე ცოტა კირი უნდება მცენარეს საზრდოდ, მაგრამ მაინც ერთ ნემეცების ქვეყანაში—საქსონიაში

---

*) ჩვენში რადგან თითქმის არსად არარის შემოღებული სახნავი მიწების გასასუქება, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ნიადაგი ყოველ წელიწადს ჰკარგავს კირს და დაბრუნებით კი ვეღარ საიდამ ვერ უბრუნდება. აჰის გამო ჩვენში უფრო საჭირო უნდა იყოს კირით პატიობა მიწისა, და თუ, საცა მიწას ასასუქებენ იქ ათ წელიწადში ორმოცდა ხუთ კოდ კირს აყრიან დღიურზედ, აქ—ჩვენში ხუთ წელიწადში ერთხელ რომ დააყარონ ამდენი კირი მეტი არ მოუვა.

—ყოველ ათ წელიწადში ერთხელ თითო დღიურზე ორმოცდა ხუთ კოდ კირს აყრიან. ამდენი კირით იმისთვის აპატიებენ იქ მიწას, რომ განაყოფიერების გარდა კირი ნიადაგს ბევრ ნაირად ჰშველის. ახალი დაშლილი კირი თიხიან ნიადაგს ძალიან უხდება, რადგან თიხას შლის თავის შემადგენელ ნაწილებზე და ამით თიხიანი ნიადაგი ნაშლდება და რბილდება (მჩატდება). მაშასადამე თიხა ძალიან სასარგებლოა მუშაობის გასაადვილებლათაც და იმისთვისაც, რომ მცენარის ფერვები გავიდ-გამოვიდნენ მიწაში; მუშაობის გაადვილება ცოტა ჯაფასა და ხარჯს აძლევს პატრონს და ფესვების გასვლა-გამოსვლით მცენარე უფრო კარგა ასაზრდოებს თავისთავს, რადგან საზრდოდ ბევრი ალაგი ეჭირება იმის ფესვებს მიწაში. თიხიანს ნიადაგს ხასიათად სჭირს სისველე და ამისგამო ცივად ყოფნა, ხოლო გვალვის დროს ახირებული გამაგრება; ბევრი კირით პატიობა თიხიან ნიადაგს თან და თან უკარგავს ამ მცენარისთვის მავნებელ ხასიათს. კირი აგრეთვე ყველა მიწაში მყოფ ნაწილებს, რომელნიც არ იხსნებიან წყალში და ამისგამო მცენარის საზრდოსაც ვერ შეადგენენ—ყველა ამისთანა ნაწილებს ჰხრწნის (ხსნის, ალპობს) და ამ გვარად მცენარის საზრდოთა ჰხდის. კირით პატიობის სარგებლობა ყველაზედ უფრო იონჯაზედ ჩნდება: ზოგიერთი ისეთი ხასიათის მიწაა, რომ მანამ კირით არ აპატიებენ—იონჯას ვერ მოიყვანს. ბევრგან ძალიან უბრალო ნიშნებით შეატყობენ ხოლმე, შეუძლიან მიწას მოიყვანოს იონჯა თუ არა: ეს ნიშანი შემდეგია: სადაც ძალიან გამრავლებულია მრავალ-ძარღვა და მჟაუნა, იქ იონჯა არ მოვა, თუ კირით არ აპატიევს. ჭაობიანი ნიადაგისთვისაც კარგია კირით პატიობა, იმიტომ რომ სიმჟავეებს აუქმებს და გოგირდოვან რკინას, რომელიც ჭაობიან მიწაში გაუხსნელია—ხსნის. ერთი სიტყვით კირით პატიობა მიწისა იმიტომ არის კარგი, რომ მიწაში მყოფ მცენარის მასაზრდოებელ ნაწილებსა ხსნის, ასე რომ მცენარეს შეუძლიან მალე და ადვილად შეიწოვოს მიწიდამ თავის საზრდო. მაგრამ რადგან კირით პატიობა მიწას მხოლოდ კირსა და მაღნეზიას *) ჰმატებს, ამის გამო მიწის ნაყოფიერებისათვის ისიც საჭიროა, რომ კირთან სხვა მანაყოფიერებელი რამეც დააყარონ მიწას, მაგ. დაფქული ძვალი და სხვ. ყველა კირში ურევია მაგნეზია, ეს კია, რომ ზოგში ცოტა ურევია და ზოგში ბევრი. მიწის საპატიებლად ისეთი კირი სჯობია, რომელშიაც მაღნეზია ცოტა ურევია, რადგან მცენარისათვის ცოტა მაღნეზია არის საჭირო, და ნიადაგის გაუკეთესება კი იმას არ შეუძლიან კირისაეით. ამასთან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ კირი მოქმედებს კარგა, როცა ახალი დამწვარია და ახალი დაშლილი. ბოლოს ისიცა ვსთქვათ, რომ ერთი პროფესსორი (მსწავლული მასწავლებელი) კირის დასაშლელად შემდეგ ღონისძიებას ურჩევს ყველას: უნდა ჩააწყონ კალათაში კირის ბელტები ორმოცდაათ გირვანქამდის და ისე ჩაუშვან წყალში, რომ სულ დაიმალოს შიგ, (წყალი შეიძლება ბოჭკით იყოს, ან ქვევრით, ან დაგუბებული იყოს როგორმე); მაშინ კირიდგან ჰაერი დაიწყებს ამოსვლას, პატარ-პატარა ბურთების სახით, და როცა ეს ბურთები მოსწყდება (ოთხ ან ხუთ წამს შემდეგ), მაშინ უნდა ამოიღონ კალათა და გამოყარონ კირი სადმე გროვად; შემდეგ კიდევ ჩაყარონ ახალი და კიდევ ისე ჩაუშვან წყალში და სხვ. ამ გვარად მალე იშლება კირი და არც ბარებიანი და თოხებიანი მუშები უნდება და კირიც ერთნაირად იშლება. ასე დაშლილი კირი რომ დააყარონ მიწას, უფრო კარგაც და უფრო ჩქარაც იმოქმედებს.

*) მაღნეზია—თეთრი მიწაა, რომელიც კირში ურევია.

## მოგზაურთ სადგური უდაბურს მინდორში.

ერთს დეკემბრის ღამეში, როდესაც, როგორც იტყვიან, ქვეყანა ღვთისა თვალით არა სჩანს და კორიანტელი ღმუვის და ბოროტებს; როდესაც სარკმელთ გაუდისთ რახარუხი, და ბებერი მწოლარე ფეხზედ ოხრავს და იწერს პირჯვარსა,—ერთს იმისთანა ღამეში მიდიოდა უხალხო მინდორზედ ყმაწვილი სტუდენტი (მოწაფე) სემინარიისა; მიდიოდა იგი შობის დღესასწაულზედ ქალაქიდამ, სადაც იგი სწავლობდა,—სოფელში, სადაც მამა მისი იყო მღვდლათ. ქალაქიდამ სოფლამდინ იყო ორმოცი ვერსი; სტუდენტი გამოვიდა ქალაქიდამ დილით ადრე და იმედოვნებდა საღამოზედ იმავ დღისა იგი იქნებოდა შინ. იგი წინ და წინ წარმოიდგენდა, თუ რა სიხარულით მიეგებებოდნენ მას მისნი მოხუცნი დედ-მამა, თუ რა სიხარულით გაიელვებდნენ თვალნი მისის დისა, და რა რიგათ გამოსცვივდებოდნენ სახლიდამ ორი პატარა მისი ძმა, რომელთათვისცა მას ჰქონდა ჯიბეში ორი პატარა იაფი სათამაშო; მაგრამ შუ დღიდამ ამოვარდა ქარი, ატყდა კორიანტელი, და სტუდენტმა უთუოთ დაჰკარგა გზა, იმიტომ, რომ დასდგა ღამე და სამშობლო მისი სოფელი ჯერ კიდევ არსადა სჩანდა. მდგომარეობა საწყლის სტუდენტისა იყო საშინელი, ბოლოს დაბნელდა და საშინელი კორიანტელი სცემდა მას გულში და პირში და უვსებდა კისერს თოვლით. თითქო ცდილობდა უთუოთ წაექცია; თუ მართლად დაცემულიყო, მაშინ ქარი რამდენსამე წუთში წახურავდა მას მთელს ზვინს თოვლისას და დამარხავდა მას თოვლ ქვეშ.

მოგზაური გამოდიოდა უკანასკნელის ღონიდამ, ძლივს გადაადგმიდა ფეხსა და თითონ არ იცოდა საით მიდიოდა, მუხლები ეკეცებოდა, ფიქრები ერევოდნენ და გრძნობანი მისნი აღარ მოქმედებდნენ, იგი თვითქმის ვეღარცა რას ხედავდა, აღარცარა ესმოდა; მას უნდოდა დამორჩილებოდა თავისს ბოროტს ბედსა, დაცემულიყო მიწაზედ და დაეძინა; მაგრამ ჰქონდა კიდევ იმდენი გრძნობა, რომ თუ იგი დაემორჩილებოდა იმ სურვილსა, მაშინ აუცილებლად იგი დაიღუპებოდა. ათი წამი კიდევ ებრძოლა სასოწარკვეთილის გრძნობით ტაროსსა: ძალდატანებით ამოაძრობდა ხოლმე ფეხებსა ღრმა თოვლიდგან, მაგრამ მით ვზასკი ცოტას იმოკლებდა. ბოლოს დაჰკარგა უკანასკნელი წვეთი ძალისა და დასუსტებული დაეცა თოვლზედ. დაიღუპებოდა საწყალი სტუდენტი აუცილებლად, თუ რომ ვიღასაც ძლიერს ხელს არ აეყენებინა და არ წაეყვანა იგი ძალათ. უაზროთ, უგრძნობლად სტუდენტი მოზდევდა უხილავსა ხელსა, და ხუთის წამის შემდგომ იგი გაჩერდა ერთის დიდის ჩინებულათ განათლებულის სასახლის წინ, საიდამაც ისმოდა ხმა მუზიკისა და მხიარული ხმიანობა სტუმრებისა. სტუდენტი ამღერეულად გრძნობდა, თუ როგორ შეიყვანა იგი უცნობმა კეთილ-მოქმედებამ კიბეზედ, გაალო მის წინ კარი და თვითქმის ძალათ შეაგდო იგი ტფილსა და განათლებულს ოთახში. დიდის სიბნელიდგან დიდს ნათელში გარდასვლა იყო ისე მოულოდნელი საწყა-

ლის სტუდენტისათვის, რომ იგი ჰკარგავდა უკანასკნელს გრძნობასა, და ის იყო უნდა დაცემულიყო პოლზედ, მაგრამ იქ მყოფთა სტაცეს ხელი და დასვეს იგი მდივანზედ.

მალე იგრძნო სტუდენტმა, თუ ვითარ სანუგეშო სიტყვომ დაუარა მას გაშეშებულთ სხეულის სახსრებში და გაახილა თვალი. მის წინ იდგა მშვენიერი ტურფა ქალი; იგი თავისს ტფილს ხელებში უთბობდა მას გაყინულს ხელებს და შეჰყურებდა მას თვალებში ისრეთის ალერსით, ისრეთის სინაზით და მონაწილეობით, რომ მაშინვე შეუყვარდა მას იგი.

შენ ძრიელ დალალული ხარ და იმიტომ უთუოთ გეშივება, უთხრა ბოლოს მან სტუდენტსა: წამომყევ მე, გაჭმევ საჭმელსა.

სტუდენტი მღუმარებით ემორჩილებოდა იმის ალერსიანს ხმასა; მას ეჩვენებოდა, რომ ის იყო ხმა მისი დედისა: მშვენიერად მორთულსა ტფილსა და ნათელს ოთახში, რომელშიაც მან შეიყვანა სტუდენტი, იყო გაშლილი მრავალი სტოლი, და ამათზედ ნადიმობდა მრავალი ხალხი. სტუდენტს რცხვენოდა შესვლა იმ დიდს შეკრებულებაში თვისის ძველის გაწუწვილის ტანისამოსით; მაგრამ, როდესაც უცებ შეიხედა დიდს სარკეში, რომელიც ეკიდა კედელზე მან შენიშნა, რომ ტანისამოსი ჰქონდა მას გამოცვლილი, უთუოთ იმ დროს, როდესაც იგი იწვა უგრძნობლათ.

აი ადგილი, რომელიც მე შენ მოგიმზადე. ჩემო სასურველო სტუმარო, უთხრა სტუდენტს მშვენიერმა ქალმა, მიიყვანა რა იგი სუფრა გაშლილს სტოლთან, დაჯექ აქა და შეექეც როგორც გინდოდეს.

სტუდენტმა დიდ ხანს არ იხვეწია მშვენიერი ქალი, იგი მართლად გრძნობდა განუზომელს შიმშილსა, და საჭმელები, რომელნიც მოჰქონდა მასთან მშვენიერს ქალს, ქრებოდენ ერთის წამის ყოფაში. თითონ კი ქალი უჯდა პირდაპირ სტუდენტს სტოლზედ დაყუდებული და სტკბებოდა იმის მშვენიერი მადით; ბოლოს სტუდენტი გაძღა. მშვენიერი ქალი ჰკირხავდა, თუ, ხომ არა სურს მას კიდევ საჭმელი.

მე დამრჩა მხოლოდ ერთი რამ, მიუგო სტუდენტმა, ესე იგი, შემოგწირო მხურვალე მადლობა შენის კეთილ-სულობისათვის და დედობრივის მზრუნველობისათვის. მითხარ, რას უნდა გიწოდებდე შენ, ჩემო მხსნელო? მიწოდე მე დედად, თუ შენ ეს სახელი მოგწონს, მიუგო კეთილმა ქალმა, და მე შენ გიწოდებ ხოლმე შვილად; მაგრამ მადლობის ღირსი მე შენგან კი არა ვარ, ამიტომ რომ, რაც მე შენ მოგეც ჩემი არ არის, მეც ისეთი სტუმარი ვარ აქ, როგორც შან, და თუ შენს გულში არსებობს მართლად მადლობა, მაშ მიიქეც კეთილის უფლისადმი ამა სახლისა, რომელმაც ააშენა ეს სახლი ამ უდაბურს მინდორში საწყალთ მოგზაურთათვის, გაანათლა, გაატფო და გაამზადა მათთვის სასმელ საჭმელი. მან შეგნიშნა შენ სიბნელეში, გამოგიშვირა ხელი შემწეობისა, მოგიყვანა აქა და ჩამაბარა მე ზრუნვა შენზედ, როგორც საკუთარს შვილზედ.

ვინ არის ის უფალი სახლისა, და სად უნდა ვიპოვნო მე ისი? მიჩვენე მე იგი, სასურველო დედავ, გული ჩემი სავსე არის მისდამი მადლობითა.

მეტყობა შენ კეთილის გულისა ყოფილხარ, უთხრა მას დედოფალმა, უნდა გითხრა მე შენა, რომ უფალი ამ მშვენიერის სახლისა არ ეჩვენება არაოდეს სტუმრებსა, და არავის ჩვენგანსა ის არ უნახავს ჯერა.

მაშ რა რიგათ უნდა შევსწირო მე იმას მადლობა? ჰკითხა მას სტუდენტმა, ჩვენ მართალია მას ვერა ვხედავთ, განაგრძო ქალმა, მაგრამ ისკი ჩვენ ყველასა გვხედავს; მან იცის ჩვენ რასაცა ვფიქრობთ, ანუ რას განვიზრახავთ, და ის ხედავს შენს გულში მადლობას, რომელსაც შენ გრძნობ, მაგრამ ცოტაა მადლობა სიტყვებით, საჭიროა მადლობა საქმითაც.

რით შემიძლიან გარდახდა მადლობისა მე საწყალს სტუდენტსა? შენ თითონ იცი, რომ ეს ტანისამოსიც, რომელიც ზედ მაცვია, ჩემი არ არის.

ნუ გრცხვენიან მაგისი, შვილო ჩემო! აქ, ყველანი, ვისაც შენ ხედავ, ჩაცმულ და მაძღარ არიან იმის უხვს ანგარიშზედ. რასაც აქ ხედავ, სულ იმას ეკუთვნის, მაგრამ ეს მაინც ვერ დაგიშლის შენ უჩვენო საქმით შენი მადლობა უფალსა ამა სახლისას.

მითხარ მე დროზედ, რით შემიძლიან? მე ჩემის სიცოცხლით ვალდებული ვარ იმისი: მე მზა ვარ მივსცე მას ჩემი სიცოცხლე, თუ საჭირო იქმნება; აბა სხვა რა შემიძლიან.

იგი ითხოვს ძლიერ მცირესა, უთხრა მლიმარებით მშვენიერმა ქალმა, გახსოვდეს [illegible]დაგ, რომ შენ აქ სტუმარი ხარ; ნუ მოახდენ ნურა ვითარს უწესოებას აქა; მოიქეც ისე, როგორც შეეფერება პატიოსანს კაცსა; იყავ ზრდილი, ალერსიანი, ყველას მორჩილი და დაავალე ყველა სტუმარს, რითაც შეგეძლოსთ,—აი რას ითხოვს მეუფე ამა სახლისა.

ღმერთო ჩემო! მიუგო სტუდენტმა: ეს არის ვალი ყოვლის პატიოსანის კაცისა, რომელიც შედის სხვის სახლში სტუმრათ. ახლა ეს მითხარით, სასურველო დედავ: დიდ ხანს შემიძლიან მე ყოფნა ამ მშვენიერს სახლში? და ამ კითხვაზე ცოტა ათრთოლდა ყმაწვილი კაცი, ამისთვის რომ იმ დროს იმან გაიხედა ფანჯარაში და შენიშნა, რომ ღამე იყო ბნელი და საზარელი.

ჯერ ადრეა, მაგაზედ ფიქრობდე, მიუგო დედამ; ყოვლის სტუმრისათვის მოვა თავისი დრო აქედამ გასვლისა; ერთიანი მოსამსახურე უფლისა, დაზდებს თვისს ხელსა მას, ვისაც მოუვა დრო წასვლისა და გაიყვანს სახლიდამ. მაგრამ ნუ გეშინიან, საყვარელო შვილო, დაუმატა დედამ, შენიშნა რა, რომ სტუდენტმა მწუხარებით დალუნა თავი; ჩვენს უფალს აქვს სხვაც მრავალი ამისთანა სახლი; მოდი გაიხედე ფანჯარაში და შეხედე უშიშრათ აი ამ ღამეს. ხელავ რამდენი სასამთლე ანათებს იქ შორსა? რიცხვიც არა აქვსთ მათ! ისინი ყველა ამისთანა სახლები არიან, როგორც ესა. ვისაც აქ თავი უჭირავს, როგორც რიგია, იმას უხილავი მოსამსახურე გადიყვანს ერთს იმ მშვენიერს სახლში; და ვინც ივიწყებს ზრდილის სტუმრის ვალდებულებას მას, იგი დაუტევებს ტანტალობდეს ამ ბნელს უდაბნოში. ჩვენი სახლის პატრონი არის მდიდარი, შემძლებელი, კათილი უკუნისამდე. ვინც მას მიენდობა, როგორც ძე მამასა, არა ოდეს არ დაუტევებს არც აქა და არც იქა.

ბული ჭაბუკისა ალივსო ცხოველის მადლობით და კეთილის მოწიწებით უხილავის მეუფისადმი, და იგი სწუხდა მხოლოდ ერთზედ, რომ მას არ ძალედო ნახვა მისი, და ცრემლიანას თვალით დავარდა მის ფერხთ წინ.

იცხოვრე ისე, როგორც მას სურს, განაგრძო მშვენიერმა ქალმა; ნუ დაივიწყებ ნურაოდეს მას; გიყვარდეს იგი და ალასრულებდე მის ნებას; გიყვარდეს მისნი სტუმარნიც, როგორც საკუთარნი ძმანი; მსახურებდე და

შეეწეოდე მათ რითაც შეგეძლოს და მაშინ შენც თითონ ნახავ მას, როდესაც დრო მოვა ამისი.

მე აკი გითხარ, რომ არავის აქ მცხოვრებს იგი არა უნახავს მეთქი; ყველა. ვართ აქ სტუმრათ, და უცლით ადგილებს ხხვა სტუმრებს, როდესაც აქედამ გავდივართ.

საიდამა სცან ეს ყოველივე, რაც ეხლა შენ მიამბე?

პირველად მე ეს მაგრგნობინა ჩემმა საკუთარმა გულმა, მიუგო მშვენიერმა ქალმა. მეც ისე, როგორც შენ, ვეძებდი მეპოვენა ის, ვინც ღირსი იყო მადლობისა, ცხოვრებისათვის ამ მშვენიერს სახლში, სითბოსთვის, სასმელ საჭმელისა და იმ ბედნიერებისათვის, რომელსაც ჩვენ აქ გამოვსცდით; მე ვპოვე მაშინ ერთი მოხუცი, რომელიც სცხოვრებს აქა იმ დროიდგან, რაც ეს სახლი აუშენებიათ; მას უნახავს სახლის პატრონი პირისპირ და უამბობს ამას ყველას, ვისაც კი ჰსურს.

აი ის მოხუცი! შეხედე: ის მოდის აქა .მე მინდა შენ გაგაცნობო იმასა.

ამ დროს წარმოსდგა მოხუცი ქალარა, როგორც თეთრი ძერა, გარნა მაღალი და მხნე. იგი იყო ჩაცმული გაცვეთილი ხავერდის ტანისამოსით, რომელიც ჰგავდა სამღვდელოს ტანისამოსსა, და იყო დაყუდებული ყავარჯენზედ; შიშველი, მაღალი შუბლი აჩვენებდა, რომ ის უნდა ყოფილიყო დიდი ბრძენი; ლურჯი დაფიქრებული მისი თვალები იყურებოდენ ალერსით, თუმცალა იყვნენ ცოტათ დაღონებულნი; თეთრი, როგორც თოვლი, წვერი მისი იშლებოდა მისს განიერს გულზედა..

წმინდა მამავ, უთხრა მოხუცსა, აკოცა რა ხელზედ, სტუდენტის დედად წოდებულმა: აი ჩემი ძე; გევედრები ნუ დაუტევებ ამას, როგორც მე არ ვიყავ დატევებული შენგან ჩემს სიცოცხლეში, რაც აქა ვარ; ასწავე მას იგივე, რასაც მე მასწავებდი; ნუ მიუშვებ მას, რომ მან დაჰკარგოს გზა, და ოდესაც მოვიდეს დრო მაგისი, მიიყვანე იგი მეუფისადმი სახლისა; იყავ ამის მამად, მეგობრათ და მოძღვრათ; იყავ მაგისთვის ჩემს მაგიერათ; დრო ჩემი მოახლოვებულ არს.

შენ კარგად იცი, უთხრა მოხუცმა მშვენიერს ქალსა, რომ მე არავისთვის უარი არ მითქვამს ჩემს მფარველობასა და რჩევაში; მაგრამ იცი ისიც, რომ ყველას არა ჰსურს სარგებლობდეს ჩემის მფარველობით, მაგრამ მე იმედი მაქვს შენი შვილი იქმნება მსგავსი შენი; მაშინ ჩვენ ერთმანეთს აღარ დავშორდებით და მე ჩავაბარებ მას ფრთოვანს მოსამსახურეს მეუფისასა.

დრო არის ახლა კი ჩვენ დავშორდეთ ერთმანეთს, უთხრა მშვენიერმა ქალმა სტუდენტსა; წაჰყევ წმიდას მამასა, არ დაშორდე მას არც ერთს წამსა; ეგ გაჩვენებს შენ ყოველსავე, რაც კი აქ არის. გიყვარდეს ეგ და ემორჩილებოდე მას, საყვარელო შვილო.

ხმა მისი იმ დროს თრთოდა. სტუდენტმა შეხედა მას. სახე მისი იყო სევდიანი და საშინლათ ფერმკრთალი. მშვიდობით, უთხრა მას მშვენიერმა ქალმა, გაუშვირა რა ხელი თვისი, ცივი, როგორც ყინული. მშვიდობით. Iყავ ბედნიერი!

სტუდენტს უნდოდა ეტაცნა ხელი მშვენიერის ქალისათვის; მას ემძიმებოდა დაშორება იმასთან, მაგრამ იგი აღარსად იყო, განქრა უცებ.

(შემდეგი იქნება).

---

## რუსეთის ამბავი.

**ოდესის ქალაქის საზოგადოების მოქმედება ხალხის გასანათლებლათ.**

ერთს რუსის გაზეთში დაბეჭდილია ოდესის სახალხო შკოლების მზრუნველების წერილი, საიდგანაც გამოვკრებთ შესანიშნავს ცნობებსა; ყველაზედ უფრო სანუგეშო ის არის, რომ ახლანდელი სამმართებლო ოდესის ქალაქისა მუდამ დიდს ყურადღებას აქცევს ხალხის განათლებას და რაც ძალი და ღონე აქვს ცდილობს ხელი შეუწყოს ხალხის ახალთაობის გაზრდას. ხუთის წლის წინათ დახარჯული ფული რომ შევადაროთ შემდეგს წლებში მოგროვილ ფულებსა ყმაწვილების სასწავლებლათ, დავრწმუნდებით, რომ ყოველ წლობით თან და თან უმატნია ამ ფულსა. მაგალითად ჩყÐგ წელს ქალაქს მოუგროვებია სასწავლებლებისათვის ათას ცხრაასი თუმანი; და ჩყÐზ წელს ორი ათას ცხრაასს თუმნამდის შეუგროვებიათ. რაც ამ წლის ფული გადუდვიათ იმავე საგანზე ოთხიათას ორასს თუმანზე მეტია, მაგრამ როდესაც ქალაქის თავი კაცები შეგროვილან და მოულაპარაკნიათ ერთმანეთში, დარწმუნებულან, რომ ეს კიდევ არა კმარაო. ადგილობრივის მცხოვრებლების მეათედი ნაწილი თუ ისწავლის ამ საშუალებით, მეტი ვეღარაო. სახალხო განათლებისათვის მეტის ღონისძიების მოსაპოებლათ საქალაქო რჩევამ აი რა დააწესა: „რაც კერძოპირებისაგან ფული შემოდის საჩუქრათ ამ საგნისთვის, იმ ფულიდგან უნდა გაკეთდესო ბანკი, რომ იქიდგან ცოტ-ცოტათ ფულის სესხება ყველას შეეძლოსო. ამ თავნმა უნდა იმუშაოს ოცის წლის განმავლობაში და ამ ვადაზე ადრე არავის შეეძლოს არც თავნის და არც სარგებლის დახარჯვაო. ოცის წლის შემდეგ მაშინდელის თავნის სარგებელი საქალაქო რჩევამ უნდა ხარჯოს ხელმეორედ ყოველს გვარ ღონისძიებაზე, რაც გაავრცელებს ხალხში სასარგებლო სწავლასაო. სახალხო შკოლების მზრუნველებმა უნდა ჰკრიფონ კერძოპირებისაგან შეწირული ფულები და აცნობონ ხოლმე ამაზე საქალაქო რჩევას; აგრეთვე ამ ნაირნი ცნობანი უნდა დაბეჭვდინონ ხოლმე იქაურს გაზეთებში, რომ ყველამ იცოდეს“.

ამ ღონისძიებით ქალაქის საზოგადო რჩევას უნდა გაადიდოს ხალხის კეთილმდგომარეობა და ხალხის განათლებაც უზრუნველათ ჰყოს.

ამას გარდა საზოგადო რჩევამ იმავე ყრილობაში დააწესა:

„რადგან მარტო ქალაქისაგან შეწირული ფული ყოველ წელს არა ჰყოფნის ხალხის შკოლებსა, ამის გამო მოუწოდოთო ყოველს ჩვენს თანამემამულეს, რომ სურვილისამებრ შესწიროს ყოველმა მათგანმა და ამისთვის ყოველს შკოლის მზრუნველს უნდა ჰქონდესო პატარა კრუჟკა შესაწირავის მოსაგროვებლათ.“

ამისთანა კრუჟკები უნდა ჩამოჰკიდონ იქ, საცა საზოგადო ვაჭრობა და მოხელობაა გამართული.

---

## არითმეტიკა.

### ათი=10

Tითო ხელს რამდენი თითი აბია?—ორივეხელებზე რამდენით მეტია 9?—9 და 1 შეიქნება ათი.—ორივე ხელებზე ათი თითია, —ორივე ფეხებზე რამდენიღაა?—კატას ორ წინა ფეხებზე რამდენი ბრჩხილი აქვს?—ძაღლს რამდენი თითები აქვს ორივე წინაფეხებზე?—უკანაფეხებზე რამდენი ღა აქვს?

ათის დაყოფვა თითებით უნდა მოხდეს. ამ დაყოფვაში რომ ყმაწვილებმა უფრო მონაწილეობა მიიღონ, იმათვე უნდა გააკეთებინოს

მასწავლებელმა სხვა და სხვა ზვაეი თავიანთ თითებით. ამ დროს ყმაწვილებს ხელები მაღლა უნდა ჰქონდეთ ყმაწვილებს რომ მასწავლებელს სჯეროდეს რომ ყმაწვილები მართლად აკეთებენ, თუ არა ხვაეებსა. ამ გვარი ვარჯისობა აი ამ წესით სჯობია: მასწავლებელი მოწაფეების ყურადღებას აღძრავს და აიწევს ორივე თავის ხელს, მარცხენას ხუთივე თითით და მარჯვენას ოთხი თითითა და უხმობს ყმაწვილებს: ხელები მაღლა! ყმაწვილები მოიქცევიან ისე, როგორც მასწავლებელი, და იტყვიან, როგორც მასწავლებელი აჩვენებს: ათი შესდგება 9—გან და 1—გან, ან 9 და 1 ათი შეიქნება ათი; 10-გან რომ 1 გამოვიღო შეიქნება 9. შემდეგ კიდევ უხმობს; ხელები ძირს! მასწავლებელიც რასაკვირველია ჩაიღებს ხელებს; მერე ორს თითს მოღუნავს, აიღებს მაღლა ხელს და იტყვის: ათი შესდგება 8—გან და 2—გან. ამნაირი ვარჯიშობა გონების გასახსნელათაც კარგია და ტვინის გასამაგრებელათაც.

შემდეგ მასწავლებელი იტყვის: როგორ იწერება ათი?—აი, ესე: 10.—ერთი ყმაწვილი უნდა გამოვიდეს და დასწეროს ფიცარზე.

—რამდენი წლისა ხარ?—რამდენს წელს შემდეგ გაგიხდება 10?—ნიკოს მისცეს 10 სტრიქონი დასასწავლათ; 4 დაისწავლა, რამდენიღა დარჩენია კიდევ დასასწავლი?—ორს ხელში ათი კაკალი მაქვს; მარჯვენივ 4 მაქვს, მარცხნივ? (ეს ვარჯისობა უნდა გაამრავლო კაკლების გადაწყობ-გადმოწყობით ერთი ხელიდგან მეორეში).

10 კაკლებიდგან რომ 3 დ ხარჯო და მერმე 5, რამდენი დარჩება?—ყმაწვილს აძლევენ ორჯერ 4 კალამს, 10 რამდენი უკლია?—სოფიომ გაიჭრა ორი თითი, მთელი რამდენიღა დარჩა?—მოწაფემ ოთხ გზის იყიდა კალმები პირველ ჯერ 2 იყიდა, მეორეჯერ 3, მესამეჯერ 4, მეოთხეჯერ 1. მაგრამ შემდეგ 2 დაკარგა; რამდენი დაურჩა? აი პატარა თეთრი ფული. ამას ჰქვიან უ ზ ა ლ თ უ ნ ი. ის ორჯერ მეტია ერთ შაურიანზე; მაშ გამოიცან რამდენი ცალცალი კაპეიკი გამოვა იმაში?—ახლა, მითხარი რამდენი ორკაპეიკიანი გამოვა ისა?—ერთი კაპეიკი მერამდენე ნაწილია უზალთუნისა?—ერთი ორკაპეიკიანი მერამდენე ნაწილია უზალთუნისა?—ახლა მითხარი რამდენჯერ იმყოფება ათში ერთი?—ორი?—ხუთი?—აბა რაჰქვიან ათის მეათედს—მეხუთედს—და ნახევარს?—მუშას 10 სანთელი აქვს; თითო ღამეს რომ თითო სწვას; რამდენს დღეს ეყოფა?—თითო ღამეს რომ ორ-ორი სწვას?—ხუთ-ხუთი რომ სწვას?—ვანომ სთქვა, მეხუთჯერ უფროსი ვარო ჩემს უმცროს ძმაზე, რომელიც ორის წლისა იყო? ვანო რამდენი წლისა ყოფილა?—სანდრომ 4 არაკი დაისწავლა, ძმამ ორჯერ მეტი და კიდევ ორი, რამდენი დაუსწავლია?—მამამ მისცა თავის შვილს ერთ კვირას შაური, მეორე კვირას 2 კაპეიკი, მესამე კვირას 3 კაპეიკი; ძვილმა ერთ გზას მეათედი დახარჯა ამფულებიდგან მეორედ მეხუდეთი, მესამედ ერთი კაპეიკი,—რა დარჩებოდა?—ერთ ქალს ათი წიწილა ჰყავდა, ნახევარი გაჰყიდა, ორი კატამ შეუჭამა და სამი თვითონ შესწვა, რამდენი გაუყიდნია და რამდენი შეუწვამს?

პავლეს ჰქონდა 10 კაკალი; ორშაბათს იმან შესჭამა მეხუთედი ნაწილი ათისა, სამშაბათს რაც დარჩა—იმის მეოთხედი, ოთხშაბათს რაც დარჩა—იმის მესამედი და ხუთშაბათს დანარჩენის ნახევარი. რამდენი დარჩებოდა?

ათი თაჭი რაიმე საგნებისა შეადგენს ა თ ე უ ლ ს. ათი მანეთი თ უ მ ა ნ ი ა. სხვა საგნებსაც ათეულობით სთვლიან.

ვაჭარმა ჯერ გაჰყიდა ათი ფორთოხალი, შემდეგ კიდევ ათი და კიდევ ათი; სულ რამდენი ათეულია? გლეხს ჰქონდა ორი ათეული კვერცხები; ერთი ათეული მთლად გაჰყიდა, მეორე ათეულისა 4 კვერცხი, რა დარჩებოდა?

---

ახლა დავსწეროთ რიცხვი ა თ ი ციფრით. მაგრამ რაც დავსწერეთ, იმისი მეტი ციფრები სხვა აღარ იხმარება. ამ ცხრა ციფრით გამოიხატებიან ყოველნი გვარნი რიცხვნი. აი როგორ: დავსწეროთ ჯერ რაც ვიცით ის ციფრები დიდ ფიცარზე და იმათი მნიშვნელობაც ხაზებით გამოვხატოთ.

1= |
2= | |
3= | | |
4= | | | |
5= | | | | |
6= | | | | | |
7= | | | | | | |
8= | | | | | | | |
9= | | | | | | | | |

ერთი ციფრის წერა კიდევ ვიცით—ნ უ ლ ი. რას ნიშნავს ნული=0?

—არაფერს.—ცხრას შემდეგ რა რიცხვია?—ა თ ი.—აბა როგორ დავსწეროთ ათი?—რა საგანიც უნდა დაითვალო, ათის თავი იმისი ერთი ათეულია. მაშ ერთი ათეულიც ისე შეიძლება დაიწეროს, როგორც რიცხვი ერთი ერთეული=1, ორი ათეული როგორც ორი ერთეული=2 და სხვ.; და რომ ათეული ერთეულში არ აურიოთ, ერთეული ასე იწერება=1, ათეული კი ასე=10: დასწერენ ერთს და იმის მერმეთ მარჯვნივ დაუსმენ ნულს. ესეც ათეული გამოვიდა, ანუ რიცხვი ათი (10). აბა ორი ათეული როგორღა იწერება?—აი ასე 20, სამი ათეული, ან სამი ათი, თუ ოცდა ათი სულ ერთია. დასწერენ ციფრს სამს და მარჯვნივ ნულს მიუსმენ, 30—ესეც გამოვიდა სამი ათეული, ან ოცდა ათი.—დასწერე ოთხი ათეული, ხუთი ათეული და სხვ.

ყველა ათეულები ორ-ორი ციფრით იწერებიან.—დასწერე რიცხვი ათი. აი, ასე 10. ასე რომ დასწერო 01, გამოვა თუ არა ათი? არა; აგრე რომ დასწერო გამოვა მხოლოდ ერთი, წინ ნული არაფერსა ნიშნავს. ეს რიცხვი უნდა შეადარებინოს მასწავლებელმა წინანდელს რიცხვებთან და შემდეგ უნდა მოჰყვეს ამ გვარს ვარჯისობას:

10 ორის თანასწორის რიცხვისგან შესდგება 5+5, ხუთის „ „ „ „=2+2+2+2+2; 10 შესდგება 3 თანასწორისა და 1 უთანასწორო რიცხვისგან 3+3+3+1; — 4 უთანასწორო რიცხვისგან — 1+2+3+4.

| | |
|---|---|
| $1=\frac{1}{2}\times 2$ (1 არის ნახევარი ორისა) | $8=8\times 1$ |
| $1=\frac{1}{3}\times 3$ (1 არის მესამედი სამისა) | $8=4\times 2$ |
| $1=\frac{1}{4}\times 4$ (1 არის მეოთხედი ოთხისა). | $8=2\times 4$ |
| | $7=7\times 1$ |
| $2=\frac{1}{2}\times 4$ | $6=6\times 1$ |
| $2=\frac{1}{3}\times 6$ და სხვ. | $6=3\times 2$ |
| $3=\frac{1}{2}\times 6$ | $6=2\times 3$ |
| $3=\frac{1}{3}\times 9$ | $5=5\times 1$ |
| $4=\frac{1}{2}\times 8$ | $4=4\times 1$ |
| $5=\frac{1}{2}\times 10$ | $4=2\times 2$ |
| | $3=3\times 1$ |
| $10=10\times 1$ (ერთი ათჯერ შეადგენს ათს) | $2=2\times 1$ |
| $10=5\times 2$ (ხუთჯერ ორი ათია) | $1=1\times 1$ |
| $10=2\times 5$ (ორჯერ ხუთი ათია) | $9=9\times 1$ |
| | $9=3\times 3$ |

რა რიცხვი იმყოფება 10, 9, 8, 6, 4-ში სრულათ, ისე რომ ნარჩენი არ იყოს. (ნარჩენს ვეძახით იმას, რაც დარჩება გაყოფის შემდეგ, რუსულათ ამას ჰქვია остатокъ (ოსტატოკ).

რა რიცხვნი არიან მხოლოდ ერთის ნამრავლი? (ისინი, რომელთაც ეწოდებათ მარტივნი, მაგალითად 1, 3, 5, 7).

რ ი ც ხ ვ თ ა შ ე ზ ა ვ ე ბ ა და ჩ ქ ა რ ი ა ნ გ ა რ ი შ ი. 2 სამკაპეიკიანი 2 ორკაპეიკიანი უ 6 კაპეიკოთ რამდენი იქმნება? მამამ გაუყო 4 თავის შვილს 10 ვაშლი ისე რომ სულ უფროსმა მიიღო ყველაზე მეტი, იმაზედ უმცროსმა ერთი ვაშლით ნაკლები, იმაზე უმცროსმაც თავის უფროს ძმაზე ერთით ნაკლები და სულ პატარამ თავის უფროსზე კიდევ ერთით ნაკლები, რამდენი ჰრგებია თითოსა. 8-ის მეოთხედი რამდენჯერ უნდა გაამრავლოს კაცმა, რომ 10 იყოს?

10 არშინი რამდენი საჟენი და არშინია?
10 დღე რამდენი კვირა და დღეა?
10 მისხალი რამდენი ლოტი და მისხალია?

(შემდეგი იქნება).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го августа, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაკტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.